განკარგულება:**გ-49. 49252065**
თარიღი:**25/07/2025**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (დანართი თან ერთვის).
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

**1**. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.
**2.** განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
**3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

**ინფორმაცია**
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის**
**სარეზერვო ფონდის შესრულების შესახებ**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 67) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გაუთვალისწინებელი გადასახდების დასაფინანსებლად იქმნება ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვა ხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით.

საანგარიშო პერიოდში, სარეზერვო ფონდიდან (გეგმა - 60,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 14,3 ათასი ლარი, ხოლო გახარჯულია 14,3 ათასი ლარი, მათ შორის:

| № | თარიღი | ბრძანებ. № | ბრძანების თარიღი | გამოყოფილი თანხა | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15.04.2025 | 48. 482510513 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან რომან დგებუაძისათვის თანხის გამოყოფა | 12000 | 12000 |
| 2 | 06.06.2025 | 48.48251578 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მელანია ტყეშელაშვილისათვის თანხის გამოყოფა | 2300 | 2300 |
| | | | | | |
| | | | | | |
| სულ თანხა: | | | | 14300 | 14300 |